

იურიდიული დახმარების კლინიკა

#7 (28), ივლისი, 2009

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი ამუშავებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).



ინკლუზიური განათლება

ასე ერქვა კონფერენციას, რომლის ინიციატორიც, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ასოციაცია „გეა“ იყო. ერთდღიანი კონფერენცია 3 ივლისს გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღეს სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. კონფერენციისა და ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს ინკლუზიური სწავლების დანერგვას სკოლამდელ დაწესებულებებში და მთლიანად ამ საკითხის პოპულარიზაციას. რა არის ინკლუზიური განათლება, ინკლუზიური განათლების მოდელები, სკოლამდელი ინკლუზიური განათლების დადებითი მხარეები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმა – ეს ის საკითხებია,

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

თბილისი 0171
26 მაისის მოედანი 2, V სართული
ტელ: (995 32) 94 16 05
ფაქს: (995 32) 33 04 17
ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org
ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ვებ-გვერდი: www.civilin.org

ინკლუზიური განათლება

(გაგრძელება)



რომლებიც სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებს წარუდგინეს ორგანიზატორებმა და მათ მიერ მოწვეულმა სპეციალისტებმა – თამარ ისაკაძემ (ფონდი „პირველი ნაბიჯი“), მაია ბაგრატიონმა (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო). კონფერენციის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ თეორიული კურსის გარდა, პრაქტიკული მუშაობა ჩაეტარებინათ – დღის მეორე ნახევარში სხვადასხვა საკითხებზე იმუშავეს.



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ასოციაცია „გეა“ 2007 წელს დაარსდა პედაგოგ–ფსიქოლოგების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მშობლების, თერაპევტებისა და არასამთავრობო სექტორში გამოცდილების მქონე პირების მიერ. ასოციაციამ 2007–2008 წლებში განახორციელა შემდეგი პროექტები:

1. ინკლუზიური განათლების მიმართ სკოლის მოსწავლეების, მათი მშობლების, მათი მასწავლებლების განწყობისა და მიმღეობის კვლევა (თბილისის 32-ე საჯარო სკოლა).
2. ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე ტაშისკარის ობოლ და მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროექტი. ამ ეტაპზე ასოციაცია ახორციელებს რამდენიმე პროექტს: 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის #7 საბავშვო ბაღში ინკლუზიური სწავლების დანერგვა.
2. სოციალური კლიპის მომზადება – სკოლამდელი ასაკის ინკლუზიური სწავლების შესახებ.
3. ინკლუზიური სწავლების დანერგვა სკოლამდელ დაწესებულებებში და მისი პოპულარიზაცია.



ამონარიდები კონფერენციის მასალებიდან

✓ სიტყვა „ინკლუზია“ ჩართვას ნიშნავს, როგორც ცნება იგი მე–20 საუკუნის მეორე ნახევარში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის კონტექსტში გაჩნდა.

✓ ინკლუზიური განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას ნიშნავს. მისი მიზანია ამ ბავშვების განათლების ხელშეწყობა, მათი ინტეგრაცია, შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება.

✓ საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლების სფეროში ცვლილებები 1994 წლიდან დაიწყო არასამთავრობო სექტორის მიერ.

✓ 2004 წლიდან დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვა საჯარო სკოლებში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ განხორციელდა პროექტი „ინკლუზიური სწავლების დანერგვა თბილისის 10 სკოლაში“. უახლოეს მომავალში ინკლუზიური განათლება დაინერგება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში.

პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“ – 2009

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით (2009 წლის 23 მარტი) დამტკიცდა პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“, რომლის მიზანია ქვეყანაში მზრუნველობამოკლებული, სოციალურად დაუცველი, ძალადობის მსხვერპლი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მიუსაფარი, ასევე, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და რთული ქცევის ბავშვთა სრულყოფილი განვითარებისთვის ხელშემწყობი ოჯახური გარემოს შექმნა და სოციალური დაცვა. პროგრამის ამოცანებს წარმოადგენს ერთი მხრივ, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა სრულყოფილი განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნულ დაწესებულებებში ბავშვთა რაოდენობის ეტაპობრივად შემცირება, მათი ოჯახურ გარემოში დაბრუნების ან/და ალტერნატიული პროგრამების განხორციელების გზით. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი ოდენობა განისაზღვრა **17 579 800** ლარით და ამ პროგრამის განხორციელება უნდა დასრულდეს 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. პროგრამის განხორციელებით ხელი შეეწყობა მზრუნველობამოკლებული, სოციალურად დაუცველი, მიუსაფარი, ძალადობის მსხვერპლი,

განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების, რთული ქცევისა და შშმ ბავშვთა განვითარებას, რეაბილიტაციას, ცხოვრებისეული, პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ამ კატეგორიის ბავშვთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზადებას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას. (იხ. ცხრილი #1) მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად ფინანსური უზრუნველყოფის და ბავშვთა ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის ქვეპროგრამებს ახორციელებს **სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“**. ბავშვთა ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის, „ჩვენი სახლის“, დღის ცენტრების, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის, ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღების, ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის, ბავშვთა ასაკის განვითარების დარღვევების პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის, უცხო ქვეყანაში გასაშვილებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის ქვეპროგრამებს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობაში შემავალი სახელმწიფო

საქვეყნეო დაწესებულება **„ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო“**. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებათა ხელშეწყობის კომპონენტს და პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს **სოციალური დაცვის დეპარტამენტი და ადმინისტრაციული დეპარტამენტი**. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამას (გარდა დაწესებულებათა ხელშეწყობის კომპონენტისა) ახორციელებს **ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები და დღის ცენტრები**.
1. ზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად ფინანსური უზრუნველყოფის ქვეპროგრამა დღეისათვის ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, კვლავ ბევრი ბავშვი ხვდება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, რითაც მათ ერთმევათ შესაძლებლობა აღიზარდონ ოჯახურ გარემოში,
(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

ცხრილი #1. პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“ მოიცავს 12 ქვეპროგრამას შემდეგი თანხებით

1	მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად ფინანსური უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	5 573 700
2	ბავშვთა ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა	55 980
3	ქვეპროგრამა „ჩვენი სახლი“	420 000
4	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	400 000
5	მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	190 800
6	ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღების ქვეპროგრამა	54 000
7	ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა	88 200
8	ბავშვთა ასაკის განვითარების დარღვევების პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის ქვეპროგრამა	72 000
9	განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა	2 423 000
10	უცხო ქვეყანაში გასაშვილებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის ქვეპროგრამა	20 000
11	ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა	8 222 120
12	პროგრამის მონიტორინგის ქვეპროგრამა	60 000

საკონკურსო განაცხადი
ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №12) აცხადებს ტენდერს „ბავშვზე ზრუნვის“ 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია 18 წლამდე ასაკის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა.

ინფორმაცია იხილეთ გაზეთი „24 საათი“, 17 ივლისი, 2009 წელი
<http://www.24saati.ge>
<http://www.civilin.org/welfare>

პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“ – 2009

(გაგრძელება)

სააღმშრდელო დაწესებულებები კი ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის სრულყოფილ ფიზიკურ, გონებრივ და ფსიქოლოგიურ განვითარებას. ამდენად, დღის წესრიგში დადგა ამ მომსახურების დეინსტიტუციონალიზაციის ანუ ალტერნატიული მომსახურებებით ჩანაცვლების საკითხი.

ამ ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია: შესაბამისი ანაზღაურების გადახდით, სააღმშრდელო დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება ან სააღმშრდელო დაწესებულებაში მოხვედრის რისკის აცილების ხელშეწყობა (რეინტეგრაცია), აგრეთვე სააღმშრდელო დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების მიმღებ ოჯახებში შვილობილად განთავსება (მინდობით აღზრდა).

ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იქნებიან ოჯახურ გარემოში, ან მასთან მიახლოებულ პირობებში აღზრდით.

2. ბავშვთა ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის აქტუალობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უკანასკნელ წლებში გახშირდა ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტები. ამდენად, ამ ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა დაცვის ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც მოქნილი და ეფექტური გზებით შეძლებს ძალადობის მსხვერპლი ან/და რისკის წინაშე მყოფ ბავშვებზე სწრაფ რეაგირებას და მათ უზრუნველყოფას შესაბამისი პრევენციული ღონისძიებებით.

დღესდღეობით, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 0–18 წლამდე ძალადობის მსხვერპლი ან/და რისკის წინაშე მყოფი ბავშვები შემდეგი ერთეულების მიხედვით: ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი, ქ. თელავი და ქ. რუსთავი.

ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად, შეიქმნება ადგილობრივი ექსპერტების/სპეციალისტების გუნდი, რომელიც შეძლებს ბენეფიციართა ფსიქოლოგიურ და სოციალურ დახმარებას. ადგილობრივ დონეზე ამუშავდება ბავშვთა დაცვის პროცესში ჩართული სხვადასხვა უწყებების ურთიერთთანამშრომლობის მყარი მექანიზმი.

3. ქვეპროგრამა „ჩვენი სახლი“

ქვეპროგრამის მიზანია ოჯახური გარემოთი უზრუნველყოფის მზრუნველობამოკლებული ის ბავშვები, რომელთა ზრუნვის სხვა ალტერნატიულ ფორმაში (ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება/ცხოვრება, შვილობილობა, შვილად აყვანა) განთავსება მოცემული მომენტისათვის ვერ ხერხდება.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მზრუნველობამოკლებული ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახურ გარემოში აღზრდა, სადაც მოხდება მათი 24 საათიანი უზრუნველყოფა საკვებით, ჰიგიენითა და სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით, ასევე თვითმოვლის, ცხოვრებისეული და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და შემეცნებითი აქტივობების განხორციელება.

მცირე საოჯახო ტიპის სახლი გათვლილია მაქსიმუმ 9 ბენეფიციარზე, მათ შორის, ერთი ადგილი განკუთვნილია გადაუდებელი შემთხვევებისათვის. მცირე საოჯახო ტიპის სახლში ზრუნვას განახორციელებენ აღმზრდელები. აღმზრდელები ბენეფიციარებზე ზრუნვას განახორციელებენ 5 სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო შაბათ-კვირას და მხმარე აღმზრდელები.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სააღმშრდელო დაწესებულებებში მცხოვრები ან ამ დაწესებულებებში ჩასარიცხი 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, ასევე ის ბავშვები, რომლებიც სააღმშრდელო დაწესებულებებიდან უკვე გაყვანილ იყვნენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.

4. დღის ცენტრების ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის ამოცანა იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრების მომსახურებით უზრუნველყოფაა, რომლებზეც დღის განმავლობაში (სკოლის შემდგომ პერიოდში) ოჯახები ვერ ახერხებენ ზრუნვას, რაც ხელს შეუწყობს ასეთ ოჯახებს არ განათავსონ ბავშვები სააღმშრდელო დაწესებულებებში. ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურება სხვა ღონისძიებებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს: ა) ყოველდღიური მომსახურება (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 2-ჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტისანი სადილი; ბ) ბენეფიციართათვის ინდივიდუალური განვითარების პროგრამების შემუშავებას, თითოეულის ინტერესებისა და უნარების გათვალისწინებით.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 6-დან 18 წლამდე „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრი ბავშვები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, აგრეთვე,

რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები.

5. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის ამოცანაა 18 წლამდე ასაკის მიუსაფარ ბავშვებზე ე.წ. „ქუჩის ბავშვებზე“ ზრუნვა და მათი უზრუნველყოფა დროებითი საცხოვრებლით, კვებით, განათლებით, სპორტული აქტივობებით, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების სწავლებით, პირველადი სამედიცინო დახმარებით, აგრეთვე ამბულატორიული და საჭიროების შემთხვევაში სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით“.

6. ბავშვთა დასვენება-გაყანსალების ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა სააღმშრდელო დაწესებულებებში მცხოვრები, რეინტეგრაციის შემწეობის და შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების მიმღები ოჯახების ბავშვების საქართველოს კურორტებზე დასვენების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბავშვთა სააღმშრდელო დაწესებულებებში მცხოვრები, რეინტეგრაციის შემწეობის და შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების მიმღები ოჯახების 9-დან 18 წლამდე ასაკის არანაკლებ 250 ბავშვი. ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

7. ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის ამოცანაა ძვალ-სახსროვანი სისტემის პათოლოგიის მქონე ბავშვთა მკურნალობა, სადღეღამისო მზრუნველობა, ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაცია და ამის პარალელურად, სასწავლო პროცესში ჩართვის მეშვეობით სოციალური ადაპტაციისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია 18 წლამდე ასაკის თვეში არაუმეტეს 10 ბავშვი, რომლებსაც აქვთ ძვალ-სახსროვანი სისტემის სხვადასხვა სახის პათოლოგიები.

8. ბავშვთა ასაკის განვითარების დარღვევების პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა ასაკის მენტალური განვითარების მსუბუქი და საშუალო ხარისხის დარღვევების ადრეული დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და პრევენცია.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბავშვთა ასაკის მენტალური განვითარების მსუბუქი და საშუალო ხარისხის

(გაგრძელება იხ. მე-5 გვ.)

პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“ – 2009

(გაგრძელება)

დარღვევების მქონე 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვი.

9. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მიუხედავად საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესისა, კვლავ აქტუალური რჩება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების საკითხი, განსაკუთრებით რეგიონში, სადაც აკადემიური განათლების მიღების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით მოქმედი პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლები. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად ბენეფიციარები სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილნი იქნებიან სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება მათ განვითარებაზე ზრუნვა.

10. უცხო ქვეყანაში გასაშვილებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის ქვეპროგრამა

„შვილად აყვანის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება უცხო ქვეყანაში გასაშვილებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის სრული შეფასება სხვადასხვა დარგის ექიმ-სპეციალისტების მიერ.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს უცხო ქვეყანაში გასაშვილებელი ბავშვები.

11. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მიუხედავად, ბოლო წლებში მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის განხორციელებული სხვადასხვა ტიპის ალტერნატიული მომსახურებებისა, კვლავაც არსებობენ ბავშვები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში უხდებათ ცხოვრება.

სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს ასეთი ბავშვების აღზრდა უსაფრთხო, დაცულ გარემოში - სააღმზრდელო დაწესებულებებში, სადაც დაკმაყოფილებულია მათი ყველა პირველადი მოთხოვნილება. აგრეთვე მნიშვნელოვანია ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული გარემოს შექმნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებით, მენეჯმენტის ტრენინგით და წამახალისებელი ღონისძიებების მოწყობით.

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები არსებობენ სადღეღამისო და დღის ცენტრების სახით.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვთა (მათ შორის, ნაპოვნ ბავშვთა) ზღვრული რაოდენობები განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

დღის ცენტრის ტიპის მომსახურების შემთხვევაში, ბენეფიციარის განთავსებაზე, განთავსების ვადაზე და მომსახურების შეწყვეტაზე გადაწყვეტილებას სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე იღებს რეგიონული საბჭო. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ იმ ოჯახების წევრ ბავშვებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, აგრეთვე რეიტინგირებულ და შშმ ბავშვებს ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად, ხოლო იმ ოჯახების წევრ ბავშვებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 70 001-დან 100 001-მდე, ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ 80 პროცენტით ანუ დღეში 4 ლარი.

12. პროგრამის მონიტორინგის ქვეპროგრამა ქვეპროგრამის ამოცანაა პროგრამის თითოეული ქვეპროგრამის შესრულების მონიტორინგის განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება რეკომენდაციების გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტურობის ზრდას.



თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>
მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაეცინოთ